ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№01/02-05-129

თბილისი

- 31 - აგვისტო 2016 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ - სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, მისი დირექტორის **მელიტონ ბენიძის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი");

მეორეს მხრივ – შპს „ორიენტ ლოჯიკი", მისი კომერციული დირექტორის **ალან ხანაკოევის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი").

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა სახის უწყვეტი ელექტრომომარაგების წყაროების შესყიდვა დანართი №1-ში მითითებული კონკრეტული დასახელების, რაოდენობებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის აღნიშნულ ხელშეკრულებას და ითვლება მის განუყოფელ ნაწილად).

<u>გამარტივებული შესყიდვა.</u> (CPV – 31154000)

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **3950.00** (სამიათას ცხრაასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. შესასყიდი საქონლის ერთეულის ღირებულებები მითითებულია დანართი №1-ში.

<u>დაფინანსების წყარო:</u> 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს 3.1. მუხლით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში; იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ეარგისიანობაზე.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტი(ებ)ს გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე, ასევე შესყიდვის ობიექტის ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს განახორციელებს, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის საფინანსო სამმართველოს წარმომადგენელი.

7.2. 9.2 პუნქტის შესრულებისათვის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ხისრულეზე და რეალობაზე პასუხისმგებელია 7.1. პუნქტში მითითებული პირი.

8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1. შესასყიდი საქონლის საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საქონლის მიწოდების დღიდან და მოქმედებს დანართი №1-ით გათვალისწინებული ვადების განმავლობაში.

8.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების (ქარხნული შეფუთვით) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი ხახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი დაზიანებული, უვარგისი ან/და წუნდებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა ახლით შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდე არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 ან/და 8.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 % ოდენობით.

14.2. პიგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.1%-ის ოდენობით.

14.4. იმ შემთხვევაში თუ 14.1 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს უფლება ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადების მიცემის გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.5. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 10 (ათი) დღით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. მხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვაროონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

17.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

17.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

დირექტორი:

/ მელიტონ ბენიძე /

მისამართი, თამარ მეფის გამზ. №14.
ტელ.: (+995 32) 292-00-55.

საქ/ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ს/კ 204534058

კოდი TRESGE22

ა/ა 707847519

მიმწოდებელი:

შპს „ორიენტ ლოჯიკ"
კომ. დირექტორი:

/ ალან სანაკოევი /

მისამართი, ბელიაშვილის ქ. №8,
ტელ.: (+995 32) 2 527-170.

ს/ს „თიბისი ბანკი"

ს/კ № 202052054

ბ/კ TBCBGE22

ა/ა GE54TB0600000010467147

დანართი #1 , # 01/02-05-129 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტი	ფირმა/ მოდელი	საგარანტიო ვადა	განზ. ერთ.	რ–ობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი
1	უწყვეტი ელექტრომომარაგების წყარო "ა" ტიპის	"Riello"-ს ფირმის, UPS IPG 800 800VA 480W / 173V - 276V / 5 min - 316 W USB Port / PowerShield software Battery runtime protected sockets 3* Shuko + 2* IEC 320 13 , Surge protected sockets for powering 3* Shuko	2 წელი	ცალი	15	170.00	2550.00
2	უწყვეტი ელექტრომომარაგების წყარო "ბ" ტიპის	"Riello"-ს ფირმის, UPS NPW 1000 1000VA 600W / 170V - 276V / 9 min - 400 W / USB port /RS232 port / PowerShield soft. Waveform - Pseudo sinusoidal Battery runtime protected sockets 4* IEC320 C13		ცალი	4	350.00	1400.00
						ჯამი:	3950.00

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი:

მელიტონ [illegible]

შპს "ორიენტ ლოჯიკი"–ის კომერციული დირექტორი:

[illegible]ან სანაკოევი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

№01/02-05-129 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობასთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დირექტორი:

– მ. ბენიძე

საფინანსო სამმართველოს უფროსი:

– ნ. გოგოჭური

შესყიდვების კოორდინატორი:

– ა. მამუჩიშვილი

სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი:

– ი. ლუაშვილი